საქართველოს კანონი

ამნისტიის შესახებ

საქართველოს სახელმწიფო, ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ერთჯერადი დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით, ამ კანონის საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N41(48), 1999 წელი, მუხ. 209) გათვალისწინებული დანაშაულების ჩამდენ პირებს.

მუხლი 1

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და სასჯელისგან გათავისუფლდებიან პირები, რომლებმაც ჩაიდინეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლით, 362-ე მუხლით ან 363-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც დაკავშირებულია არაუგვიანეს 2003-2004 სასწავლო წლის ყალბი სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის დამზადებასთან, შეძენასთან, გასაღების მიზნით შენახვასთან, გასაღებასთან ან გამოყენებასთან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებასთან, გადამალვასთან, განადგურებასთან ან დაზიანებასთან ან/და ამ დოკუმენტებში ყალბი ცნობის ან ჩანაწერის შეტანასთან.

მუხლი 2

ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია ვრცელდება ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებულ პირებზე წინასწარი გამოძიების დაწყების ან მიმდინარეობის მიუხედავად. წინასწარი გამოძიება არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს ამ კანონის პირველ მუხლში მითითებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე, იმ შემთხვევაშიც, თუ არ არის დადგენილი დანაშაულის ჩამდენი პირი.

მუხლი 3

ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ყალბი ატესტატების გამოყენებას, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება, უკავშირდება ნამდვილი ატესტატის გამოყენებისათვის განსაზღვრული ყველა სამართლებრივი შედეგი.

მუხლი 4.

ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ყალბი ატესტატების ნამდვილობის დადასტურება, ლეგალიზაცია ან აპოსტილით დამოწმება არ დაიშვება.

მუხლი 5. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*